პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 კვირა 22 აგვისტო № 197 (16627) ფასი 2 კაპ. 1976

პრემლიდან მიღებული გულითადი სტრიქონების პასუხად

ითამაგონებელი სიტყვების ძალა

დიდი ბედნიერება — დიდი მოვალეობა

დიდი ბედნიერების ღირსი გახდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავი თამარ თარაევა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა უპასუხა მის წერილს და მიულოცა შრომითი გამარჯვება.

მშრომელი ადამიანის საქმიანობის ეს დიდი შეფასება, ეს სიხარული მარტო თამარს როდი ეკუთვნის. ეს რესპუბლიკის ყველა მეცხოველის, ყველა მწველავის სიხარულია.

ძვირფასო თამარ! გულითადად მოგილოცავთ. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალოცი დეპეშის საპასუხოდ თქვენ ვალდებულება იკისრეთ მეათე ხუთწლედის პირველი წლის წვლადობის გეგმა 15 სექტემბრისათვის შეასრულოთ და წლის ბოლომდე 1.400 ლიტრის ნაცვლად თვითეულ ძროხაზე 2.000 ლიტრი რძე მიიღოთ.

გულით მიხარია თქვენი წარმატება. ერთმა თუ რეკორდი დაამყარა, იგივე შეიძლება გაიმეოროს ყველამ, თუ მოწინავის გამოცდილებას ისინი გულდასმით შეისწავლიან. დღეს უკეთ ვიმუშაოთ, ვიდრე გუშინ, ხვალ კიდევ უკეთესად. მე პირადად უკვე შევასრულე წლევანდელი წლის გეგმა — თვითეულ ძროხაზე 3.000 ლიტრი რძე მოვწველე. ახლა ვალდებულების გადამეტებით მოსავლელად მოჩენილი ძროხებიდან ყოველდღე ასეულ ლიტრ რძეს ვიღებ. გადავწყვიტე წლეულს თვითეულ ძროხაზე მივიღო 5.000 ლიტრი რძე ნაცვლად შარშან მიღებული 4.250 ლიტრისა.

ამ პირობის შესრულება შეიძლება. ამისათვის საჭიროა გიყვარდეს საქმე, შრომობდე გულით და სულით.

წველადობაში ვეჯიბრები ესტონეთის სსრ ვილიანდის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ვილიანდის“ მწველავს, სოციალისტური შრომის გმირს ლიდია პეიპსს. ხშირად გვაქვს მიწერ-მოწერა. ჩვენც, ძვირფასო თამარ, ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება, ვისწავლოთ და მივაღწიოთ საერთო წარმატებას. ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ასეთი ზრუნვისა და ყურადღების პასუხად ვიშრომოთ მთელი ძალღონით და ამით სასახელო წვლილი შევიტანოთ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

ზაირა ალხანიშვილი,

წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი.

ჩემი გულისთქმა

როცა შევიტყე, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მეტად გულთბილი წერილი გაუგზავნა თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მწველავს თამარ თარაევას, სიხარულთან ერთად სერიოზულად დავფიქრდი. მწველავის შრომას, საწარმოო მიღწევებს, როგორც ამას აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი რესპუბლიკის შემდგომ წარმატებაში, დასახული გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში.

საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, მეცხოველეობის ფერმაში დავიწყე მუშაობა. ვცდილობდი ყოველთვის მოწინავეთა მხარდამხარ ვყოფილიყავი.

1973 წელს მეცხოველეობაში ნაყოფიერი შრომისათვის აჭარის ასსრ დამსახურებული მწველავის წოდება მომანიჭეს. ამან კიდევ უფრო მეტი ენერგია შემმატა მეცხრე ხუთწლედის პირადი დავალების შესასრულებლად.

მეათე ხუთწლედის პირველი წელი კარგად დავიწყე და რაიონში ერთ-ერთმა პირველმა ვუპატაკე სამშობლოს რძის წარმოების წლიური დავალების ვადამდე შესრულება. 13.000 კილოგრამის ნაცვლად უკვე 14.500 კილოგრამი რძე ჩამოვწველე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის წერილი მარტო თამარ თარაევას არ ეკუთვნის. კრემლიდან მიღებული ამ გულთბილი სტრიქონების სითბო გვადიდებს ჩვენ, შრომის ადამიანებს. ასეთი ზრუნვა და ყურადღება ხალისით გვავსებს, ხოლო დიდი ყურადღება დიდ მოვალეობას გვაკისრებს.

მწველავები ჩვენს თვალსაჩინო წვლილს შევიტანთ მეცხოველეობის პროდუქტების, კერძოდ, რძის წარმოების გადიდების საქმეში.

ნათელა ბოლქვაძე,

ხულოს რაიონის სოფელ დიდჯარის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავი.

საქართველოს მეცხოველეები ახალი კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილ წერილს, რომელიც მან თამარაშენელ მწველავს გამოუგზავნა.

მოწინავე ბრიგადა

ახმეტა. „ხუთწლედის დავალებას ოთხწლიწადში შეავასრულებთ!“ — ასეთი დევიზით მუშაობს ალვანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადა, რომელსაც სწავლული ზოოტექნიკოსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნაზი პეტრიაშვილი ხელმძღვანელობს.

ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალება, 1.600-ზე მეტი გოჟი მიიღო გეგმით გათვალისწინებული 1.440-ის ნაცვლად და 970 ცენტნერი ღორის ხორცი აწარმოა, რაც გეგმაზე 240 ცენტნერით მეტია. ბრიგადამ ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა.

((საქინფორმი).

21 აგვისტო

„პრავდის“ ფურცლებზე

საქალაქო ტრანსპორტი ყოველდღიურად მილიონობით საბჭოთა ადამიანს ემსახურება. მის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს გათვალისწინებულია სოციალურ-ეკონომიური პროგრამით, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ მეათე ხუთწლედში დასახა. ამას წინათ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც მარტო ავტომობილისტებისა კი არა, ქალაქის მაგისტრალებზე დასაქმებული ყველა მუშაკის მოქმედების პროგრამაა.

საქალაქო ტრანსპორტის მუშაკები, — წერს გაზეთი დასასრულ მოწინავეში, — **უზრუნველყოფენ რა შრომელთა გადაყვანას, მათი მომსახურების დიდ კულტურას, ამით ხელს უწყობენ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ სოციალურ-ეკონომიური პროგრამის შესრულებას, ღირსეული წვლილი შეაქვთ საერთო სახალხო ბრძოლაში სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.**

მკა! როგორ ნაღარაესავით ეკერს თვითონ სიტყვა. სამშობლო პურის უხვ მოსავალს ელის, როგორც იტყვიან, არცერთი მარცვალი, არცერთი თავთავი არ უნდა დაიკარგოს. მკა ამასთანავე აწრთობს ადამიანის ხასიათს, მოქალაქეობრივად განაკაცებს შრომელ ადამიანს. ასე ესმით მკა სოფლის კომუნისტებს, პარტიულ მუშაკებს, რომელთათვისაც მოსავლის აღება მუდამ მცხუნვარე შუადღეა, მუდამ მუშაობის ზენიტია. ამაზეა ლაპარაკი **მ. კრიუკოვის** წერილში — **„მცხუნვარე შუადღე“** (რუბრიკა — **„პარტიული ცხოვრება“, „კომუნისტები მკაში“**).

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვაჭრობის განვითარებას, წარმოების დარგებთან მისი კავშირის სრულყოფას. ასეთი თანამშრომლობის განმტკიცება ითვალისწინებს ვაჭრობის ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებას („**ერთიანების ეფექტი**“, მე-2 გვ.).

მამათა ხსოვნა... მათი საბრძოლო და შრომითი ვჩირობის ხსოვნა... ეს ხსოვნა თაობიდან თაობას გადაეცემა, მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე თანა გვდევს და აღგვფრთოვანებს ახალ-ახალი სასახელო საქმეებისათვის.

...ეს ხსოვნა ეოცხლობს საბჭოთა მწერლის საუკეთესო წიგნებში, რომლებიც ნორჩი თაობისათვის არის დაწერილი. სწორედ ამ წიგნებს მიმოიხილავს გაზეთის ფურცლებზე **ხ. აბრამოვი** („**ბრიოლა მემკვიდრეობით**“).

რუბრიკით — **„ახალგაზრდობა და კაპიტალიზმი“** — გამოქვეყნებულია **ვ. შელკოვის** წერილი — **„გულგატეხილთა თაობა“** (მე-4 გვ.).

ბევრ საინტერესო მასალას წაიკითხავთ გაზეთის მეხუთე და მეექვსე გვერდებზე.

ПРАВДА

ჩვენს დიალ საშუალოზე

ეძღვნება სახელოვან ფლისთავს

20 აგვისტოს მოსკოვის შრომელთა წარმომადგენლები „პრავდის“ კულტურის სახლში შეიკრიბნენ, რათა აღენიშნათ რუმინეთის ეროვნული დღესასწაული — ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლების 32-ე წლისთავი.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. დ. კულაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი და სხვები. შეკრებილთ მიესალმა რუმინეთ-სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობის საზოგადოების (არლუსის) დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის აღზრდა-განათლების მინისტრის მოადგილე მარიამ სტენესკუ.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ, საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ტ. ლავრენტიევამ. მან მოსკოველთა სახელით მიულოცა რუმინელ ხალხს ეროვნული დღესასწაული.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში გ. ბადრუსმა ილაპარაკა წარმატებებზე, რომლებიც რუმინელმა ხალხმა მოიპოვა სოციალიზმის მშენებლობაში. შეეხო რა 1944 წლის აგვისტოს აჯანყებას, ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი წარმატება განაპირობეს საბჭოთა არმიის დიდი სამხედრო გამარჯვებების წყალობით შექმნილმა სასიკეთო პირობებმა. საბჭოთა არმიის, თქვა მან, გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ფაშისტური მონობისაგან რუმინეთის, ევროპის ხალხების განთავისუფლებაში. ჩვენი ხალხი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირთან მეგობრობას, ნ. ჩაუშესკოსა და ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრებს, განსაკუთრებით ყირიმის შეხვედრის შედეგებს, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენი ძმური ურთიერთობის ყოველმხრივ განვითარებასა და გაღრმავებას. (საკ-დესი).

საბჭოეთის ახალი ამბები

□ **ნებიტ-დალი,** (**თურქმენეთის სსრ**). წლის დამლევამდე მეოცეამასე ზეგეგმითი ტონა ნავთობი ამოიღეს 20 აგვისტოს „**ავმდაღნავთობის**“ **ხამმართველოს მუშაკებმა** და ვადამდე შეასრულეს წლიური სოციალისტური ვალდებულებების ერთ-ერთი პუნქტი. აქ გაერთიანება „თურქმენნავთობში“ პირველებმა გამოიყენეს ბუნებრივი გაზი ფეიქრის წნევის გასაზრდელად და ნავთობის ნაკადის გასადიდებლად. ამის შედეგად ჭაბურღილების სადღეღამისო დებიტი ერთიასამად გაიზარდა.

□ **მინსკი.** **მოტორის ქარხნის მუშები და სპეციალისტები** ეხმპარებიან სოფლის **მექანიზატორებს ტრაქტორებისა** და **სხვა ტექნიკის რემონტში.** აქ შეიქმნა კიდევ ჯუთი ბრიგადა, რომლებიც დღეს გაემგზავრნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, მოლდავეთისა და ბელორუსიის რაიონებში. დნეპროპეტროვსკის კომბაინის ქარხნის კოლექტივისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წერილის პასუხად მინსკელმა მოტორმშენებლებმა ვალდებულება იკისრეს დავალების დამატებით გამოუშვან „მტზ-80“ მარკის ტრაქტორების რამდენიმე ასეული ძრავა. გარდა ამისა, საწარმო სექტემბრის დამლევამდე გეგმის დამატებით გაგზავნის 400 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილებს.

□ **ყარა-ყული,** (**ყირგიზეთის სსრ**). **20 აგვისტო.** ამ მაღალი მთის დაბაში დაიწყო შუა აზიის **უდიდესი ელექტროტექნიკური ქარხნის მშენებლობა.** იგი ქვეყნის საწარმოებს ელექტრული მანქანების, ძრავებისა და ხელსაწყოების მაკომპლექტებელ დეტალებს მიაწვდის. ქარხანა პირველ პროდუქციას ამ ხუთწლედშივე გამოუშვებს.

□ **ხანლარი.** (**აზერბაიჯანის სსრ**). **რუსეთშუღლიკის დასავლეთი ზონის მეშენიმბებმა დაიწყეს საადრეო სუფრის ჯიშების ყურძნის კრეფა.** ამინდის პირობები არ არის ხელსაყრელი, მაგრამ ყველგან უმაგალითო მოსავალი მოიყვანეს. იგი სავგეგმო მაჩვენებლებს 20-30 პროცენტით აღემატება. ყაზახის, თაუზის, შამქორისა და დასავლეთი ზონის სხვა რაიონების მეურნეობებში აპირებენ 200 ათასი ტონა ყურძენი მოკრეფონ. ამდენ ყურძენს რამდენიმე წლის წინ რესპუბლიკის ყველა მეურნეობა ერთად აბარებდა.

(საკდესი).

□

ოფიციალური ცნობები

20 აგვისტოს სამშობლოში გაემგზავრა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ე. ჰონეკერი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ყირიმში ისვენებდა. (საკდესი).

გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით საბჭოთა საეს.კადრო ნაომსანი „ბრავი“ ამა წლის 24-28 აგვისტოს ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ეწვევა რესპუბლიკის დედაქალაქს — ნაესადგური ბისაუს.

კომბაინერთა შეჯიბრება

20 აგვისტო

ქარელი

მიხეილ ოზაშვილმა აგარის საბჭოთა მეურნეობაში პურეულის 10 ჰექტარი მოსავალი აიღო და ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ასპინძა

ფარნაოზ ნარიმანიძემ სოფელ რუსთავის კოლმეურნეობაში პურეულის 9 ჰექტარი მოსავალი მომკა და ჰექტარზე საშუალოდ 24 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

დურმიშხან ნადირაძემ ასპინძის კოლმეურნეობაში პურეულის 8 ჰექტარი მოსავალი მომკა და ჰექტარზე საშუალოდ 21 ცენტნერი მოსავალი გალეწა.

ცხინვალი

გიორგი ბესთაევმა ერედვის საბჭოთა მეურნეობაში პურეულის 9 ჰექტარი მოსავალი აიღო და ჰექტარზე საშუალოდ 36 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

დმანისი

ავთანდილ რაზმაძემ, რომელიც სოფლტექნიკის რაიონული განყოფილების კომბაინერია, ვაზისუბნის საბჭოთა მეურნეობაში პურეულის 10 ჰექტარი მოსავალი მომკა 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

იუსუფ იუსუბოვმა — სოფლტექნიკის კომბაინერმა ვარდისუბნის საბჭოთა მეურნეობაში პურეულის 10 ჰექტარი მოსავალი აიღო და ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.



ალღობა მთაში

დუშეთის რაიონში ხორბლეული 2.545 ჰექტარია ასაღები. როგორც პირველი მონაცემები მოწმობს, ასეთი კარგი მოსავალი მთაში იშვიათია. სოფელ ბაზალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ხორბლის მოსავლიანობა ჰექტარზე 25 ცენტნერს აღწევს.

პურეულის კარგ მოსავალს იმკიან მეადიჯვრის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში — ჰექტარზე საშუალოდ 23 ცენტნერს.

დაწინაურდნენ კომბაინერები გიგა რაზმაძე, ვალიკო ჯაბანაშვილი და სხვები. მოწინავე კომბაინერთა თვის დაწესებულია გარდამავალი ვიმპელები. პირველი ასეთი ჯილდო წილად ხვდა მეადიჯვრელ მექანიზატორს ვალიკო ჯაბანაშვილს, რომელმაც მარტო ერთ დღეს 130 ცენტნერი — საშუალოდ 1 ჰექტარზე 26 ცენტნერი მარცვალი გალეწა. პურეულს სწრაფად მკიან ბრაგვისპირისა და დუშეთის საბჭოთა მეურნეობებში.

მოსავლის აღებაში არის ნაკლოვანებებიც, დაბალია კომბაინების წარმადობა, აგრეგატები ცდება ტექნიკური უწესივრობის გამო, ზოგ მეურნეობაში მინდვრად მოუწესრიგებელია კულტურული მომსახურება.

ა. თომაძე,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ვალდებულებები-გადამეტებით

საგარეჯო. (**„კომუნისტის“ კორ.**). სხვა საკვებთან ერთად დავამზადოთ 9.312 ტონა თივა და 20 ათასი ტონა სენაჟი — ასეთი დავიზოთ დაიწყეს მუშაობა რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა. ამ საქმეში კარგად იყენებენ მექანიზაციას, რის გამოც პირობას უკვე გადაჭარბეს — გათიბეს და აგროზე მიიტანეს 9.877 ტონა თივა ნაცვლად 9.312 ტონისა.

ჩინებულად მუშაობენ პირუტყვისათვის სენაჟის მოსამზადებლად. სიტყვა უკვე საქმედ აქციეს. დაამზადეს 20.380 ტონა სენაჟი, რაც ვალდებულებას 380 ტონით სჭარბობს. ახლა ვალდებულების გადამეტებით ყოველდღე ტონობით სენაჟს იმარაგებენ.

იქნება მეტი საკვები

საჩხერე. (**საქინფორმის კორ.**). კორბოჯოს სასოფლო საბჭოს დეპუტატები და აქტივისტები, საზოგადოებრიობა ქმედითს მონაწილეობას იღებენ პირუტყვის საკვების დამზადებაში.

სოფლის საავადმყოფოს თანამშრომლებმა გზისპირებში, ხევებსა და ტყეებში გათიბეს და დაზვინეს 112 ტონა თივა. ნიგზვარისა და შომახეთის რვაწლიანი სკოლების პიონერიმ კოლექტივებმა და ტექნიკუმმა პერსონალმა თორმეტ-თორმეტი ტონა სენაჟი დაამზადეს.

დღესასწაულის ალსანიშნავად

ბუქარესტი. **რუმინელი ხალხის ეროვნული** , **დღესასწაულის — ფაშისტური მონობისაგან რუმინეთის განთავისუფლების 32 წლისთავის წინ ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები, რომ შრომითმა კოლექტივებმა ვადამდე, მოლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი.**

რუმინეთის დედაქალაქის უდიდესი მანქანათმშენებელი საწარმოების — მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნისა და ქარხანა „აუტომატიკის“ კოლექტივებმა წლის დაბოლოებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 35 მილიონი ლეის სასაქონლო პროდუქცია. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე დედაქალაქის ქარხნების — „რეპუბლიკის“, „ელექტროტექნიკის“, „კრასნაია გრივიცის“, 23 აგვისტოს სახელობის ქარხნის მშრომელებმა.

წელს დღესასწაულის წინა ხანებში მშრომელები განსაკუთრებით ფართოდ მონაწილეობენ შაბათობებსა და კვირაობებში, რომლებიც ეძღვნება ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული ცენტრების მშენებლობას.

ევგადებიან არჩევნებისათვის

ბონი. **ბუნდესტაგის 3 ოქტომბრის არჩევნებისათვის გერმანელთა კომპარტიის მზადების პრობლემებს მიეძღვნა გერმანელთა კომპარტიის გამგეობის პრეზიდიუმისა და სამდივნოს, აგრეთვე პარტიის საოლქო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების გაერთიანებული სხდომა, რომელიც დიუსელდორფში გაიმართა. სხდომის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ გერმანელთა კომპარტია არჩევნებს ხვდება ლოზუნგით: „მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის! შრომის უფლებისათვის! ფასების ზრდის შეწყვეტისათვის! ის, ვინც ხმას აძლევს გერმანელთა კომპარტიას, ილაშქრებს მსხვილი კაპიტალის წინააღმდეგ!“**

წინასაარჩევნო ბრძოლის დროს გერმანელთა კომპარტიამ 248-ვე საარჩევნო ოლქში დასახელა 570-ზე მეტი კანდიდატი.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ გერმანელთა კომპარტიის მთავარი მიზანია განუმარტოს თავისი პროგრამა ამომრჩეველთა ფართო მასებს. პროგრამაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა მუშათა კლასის მთელი ძალების შეკავშირება მშრომელთა დემოკრატიული და სოციალური უფლებების თანმიმდევრული დაცვისათვის.

კომუნისტები მოითხოვენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის აქტივიზაციას, სრულიად ევროპის თანაბრის დასკვნითი აქტის დებულებების, ევროპის სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების თანმიმდევრული განხორციელებას.

რესპუბლიკელთა საარჩევნო პროგრამა

კანზას-სიტი. **აქ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტიის ყრილობა. ყრილობამ დამტკიცა პარტიის საარჩევნო პროგრამა 2 ნოემბრის პრეზიდენტის არჩევნებისათვის და პრეზიდენტობის კანდიდატად დამტკიცა ახლანდელი პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად — სენატორი კანზასის შტატისაგან რობერტ დოული.**

ყრილობის დასასრულს საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა. მან აღნიშნა, რომ „მილიონობით ამერიკელი შვილიერების იმედით სულდგმულობს“, და განაცხადა, რომ მისი ადმინისტრაცია ცდილობს გაამართლოს ეს იმედი. ჩვენ, დაპირდა ის, უფრო უსაშიშრო და ეონივრულ საფყროს ავაშენებთ მოთმინებითი მოლაპარაკებისა და განიარაღების დარგის ისეთი საიმედო შეთანხმებების დადების გზით, რომლებიც ამცირებენ კონფლიქტის საშიშროებებს და შემზარავი თერმოატომური ომის შესაძლებლობას.

როცა საშინაო პოლიტიკის საკითხებს შეეხო, ჯ. ფორდმა შეახსენა ამერიკელებს, რომ შეერთებულმა შტატებმა ეს-ეს არის გადაიტანეს „ყველაზე უარესი ეკონომიური დაქვეითება“. სულ ორი წლის წინათ, თქვა მან, „საქონლის ბაყიდვა მკვეთრად შემცირდა, ქარხნები იხურებოდა, ყოველ კვირაში ათასობით მუშას ქუჩაში ყრიდნენ. მომავლის შიში ანრჩობდა ჩვენს ეკონომიკას **და** საფრთხეს უქმნიდა მილიონობით ოჯახს“.

როგორც ფორდმა თქვა, მას ესმის, რომ ეკონომიური კრიზისის შედეგები ჯერ დაძლეული არ არის და მრავალი მილიონი ამერიკელი კვლავ უმუშევარია, და დაპირდა, რომ თუ კვლავ აირჩევენ პრეზიდენტად, „ისეთ ვითარებას შეექმნი, რომლის დროს ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა უზრუნველყოფს საწარმოო დასაქმებას ყველასათვის, ვისაც მუშაობა სურსო“.

მაგრამ ამერიკის არჩევნებისწინა კამპანიის პირობებში ჩვეულებრივი ეს დაპირებანი მას არ დაუსაბუთებია კონკრეტული წინადადებებით, თუ რა გზით უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას, რაც ნანუკვარი, მაგრამ აუსდენელი ოცნებაა კაპიტალიზმის პირობებში მრავალი მილიონი უმუშევარი ამერიკელისათვის. (საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის შენახვისა და პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებათა თაობაზე აბაშისა და სიღნაღის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ინიციატივის შესახებ

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-18 პლენუმის დადგენილების შესაბამისად უკანასკნელ პერიოდში გარკვეული მუშაობაა გაწეული მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების, ვეტერინარული მომსახურების, საკვებით უზრუნველყოფისა და მეცხოველეობის ნამეტი პროდუქტების რეალიზაციის საქმეში.

წლეულს აბაშისა და სიღნაღის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გამოიჩინეს ინიციატივა, რათა მოსახლეობას ქმედითი დახმარება გაუწიონ პირუტყვის შენახვისა და მოვლა-პატრონობის პირობების გაუმჯობესების საქმეში.

სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა გალდებულება იკისრა ჩატაროს სოფელ ბოდბის კალინინის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობების გამოუყენებელი 600 ჰექტარი სოფლისპირა საძოვრების ძირეული და ზედაპირული გაფხვიერებისა და ამ საძოვრებით უზრუნველყოს მოსახლეობის კუთვნილი 4.500 სული ცხვარი და 550 სული საქონელი. გარდა ამისა, აღნიშნული კოლმეურნეობები მოსახლეობის კუთვნილ პირუტყვს უზრუნველყოფენ საფურაგით, დამატებით გამოყოფენ 300 ტონა უხეშ საკვებს, 350 ტონა სილოსს, 100 ტონა სენაჟს და 50 ტონა კომბინირებულ საკვებს, ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით მოსახლეობის კუთვნილ პირუტყვს უზრუნველყოფენ მაღალი კლასის ბუღებით, მოსახლეობისაგან შეისყიდიან და გაასუქებენ 300 სულ საქონელს.

ასევე გალდებულებები აიღო აბაშის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმაც, რომელმაც მოიწონა სუჯუნის სასოფლო საბჭოს ინიციატივა გადიდოს მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვისთვის საძოვებლად გამოყოფილი ნაკვეთები, ჩაატაროს მათზე კულტურ-ტექნიკური სამუშაოები, გაზარდოს პროდუქტიულობა, ვეტერინარულ-სანიტარიული შემადგენლობა და მმყოფოს სასუქებელ მეურნეობას 2 ოვენდზე ასაკის მოზარდეული.

ამასთანავე, დადგენილებაში ნათქვამია, რომ რესპუბლიკის ბევრ რაიონში ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, რის შედეგად მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვი ძირითადად აგდილობრივი ჯიშისაა და შეზრუდული საკვები რესურსების გამო მცირეპროდუქტიულია, ჯერ კიდევ მოუგარებელია მოსახლეობისაგან მოზარდეულის შესყიდვისა და გამოზრდის საკითხი.

სოფლის მოსახლეობა პირად დამხმარე მეურნეობაში მყოფი პირუტყვის გამოსაკვებად იყენებს სოფლისპირა, სხვადასხვა დგილას გაფანტულ მცირე საძოვრებს, რომელთა ფართობი რესპუბლიკაში 155 ათას ჰექტარს აღემატება. ამ საძოვრების გამოყენება წლების მანძილზე უსისტემოდ ხდება, რის გამოც მათი პროდუქტიულობა ძალზე მცირეა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონა აბაშისა და სიღნაღის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ინიციატივა და დაავალა მათ შეისწავლონ თავიანთი რაიონების ყველა მეურნეობაში სოფლისპირა საძოვრების გამასვლებისა და ვასარწყავების საკითხები და წარუდგინონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში განსახილველი საძოვრების მოწყობის პროექტების შესადგენად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა:

ორი კვირის ვადაში შეადგინოს და დაამტკიცოს რეკომენდაციები რესპუბლიკის მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის შენახვისა და პროდუქტიულობის გადიდების ეკონომიურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ;

1977 წლის პირველ ნახევარში უზრუნველყოს აბაშისა და სიღნაღის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მიერ წარმოდგენილი განსახილველის შესაბამისად სოფლისპირა საძოვრების მოწყობის პროექტების შედგენა და დაუწესოს კონტროლი პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებას;

სისტემატური დახმარება გაუწიოს მოსახლეობას პირუტყვის საკვები ბაზის შექმნის, სანაშენო დეკეულების შეძენის, პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების, ზოოვეტერინარული მომსახურების, ნამეტი პროდუქციისა და მოზარდეულის რეალიზაციის საქმეში;

ურჩიოს კოლმეურნეობებს, დაავალოს საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეოთაშორისო გაერთიანებებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მოსახლეობას უხეშით და სხვა სახის საკვების დამზადებასა და შეძენაში.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაევალა, რომ 1977 წლიდან უზრუნველყოს აბაშისა და სიღნაღის რაიონებში სოფლისპირა ჭაობიან და ჭარბტენიან საძოვრებზე სამელიორაციო სამუშაოების შესრულება კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან პირდაპირი ხელშეკრულებებს საფუძველზე.

რესპუბლიკურ გაერთიანება „სასოფლტექნიკას“ წინადადება მიეცა აბაშისა და სიღნაღის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უზრუნველყოს სოფლისპირა საძოვრებზე კულტურ-ტექნიკური სამუშაოების შესრულება ხელშეკრულებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკურ კანტორასთან ერთად:

— 1977 წლიდან უზრუნველყოს მოსახლეობისათვის სანაშენოდ გარგისი პირუტყვის მისაყიდად გრძელვადიანი კredიტების გამოყოფა რაიონმასკომების შუამდგომლობის საფუძველზე;

— 1977 წლიდან ყოველწლიურად გამოუყოს მოსახლეობას მისაყიდად 35 ათასი ტონა კომბინირებული საკვები.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა აბაშისა და სიღნაღის რაიაღმასკომების ინიციატივა უნდა მიიჩნიონ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ, რომელიც ხელს შეუწყობს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდების რეზერვების გამოყენებას, ცალკეული სასოფლო საბჭოების მოხედვით შეისწავლონ მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის მდგომარეობა, დასახონ და განახორციელონ კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სოფლისპირა საძოვრების ზედაპირულ და ძირეულ გაუმჯობესებას, მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების საფუძველზე პროდუქტიულობის ამაღლებას, ნამეტი პროდუქციისა და მოზარდეული პირუტყვის შესყიდვის გადიდებას. (საქინფორმი).

ქსოფლიოს აქაჩული ეროვნული ბიბლიოთეკა

საკადესი და უცხოეთის საგენტოები იტყობინებიან

ფაქტები, პრობლემები

21 აგვისტო

ლენინური კურსით

ვარშავა. „ლ. ი. ბრეჟნევი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“ — ასეთი სათაურით გამოუშვა გამომცემლობა „ქსენქია ი ვიდამ“ ხუთ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის 1974-1976 წლების სიტყვებისა და სტატიების კრებული.

ამ წლებს, ნათქვამია კრებულის წინასიტყვაობაში, ახასიათებს საბჭოთა ხალხის ახალი დიდი მიღწევები კომუნიზმის მშენებლობაში, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში დიდი პირადი წვლილი შეიტანა ლ. ი. ბრეჟნევმა. მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია. მის სტატიებსა და სტატიებში ყოველმხრივ გაანალიზებულია აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, შემოქმედებითად განვითარებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელი ადამიანი უდიდესი ყურადღებით ეკიდება ლ. ი. ბრეჟნევის ოფიციურ გამოსვლას, რადგან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, რომელიც მისი უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელდება, ეფექტიანად უწყობს ხელს მათი საკუთარი ამედის — მშვიდობიანად ცხოვრების იმედის განხორციელებას.

განსაკუთრებით პოპულარულია ამსანაგი ლ. ი. ბრეჟნევი პოლონეთში, რომელიც არასდროს არ დაივიწყებს მის პირად წვლილს პიტლერული ოკუპაციისგან პოლონეთის განთავისუფლებაში. ფაშიზმის განადგურების, ომგადაყოლილ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების თანამიმდევრული განხორციელების საქმეში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პირადი წვლილის უმაღლესი აღიარება იყო მისთვის საბჭოთა კავშირის მარშლის წოდების მინიჭება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა ლენინურ პოლიტიკას, მსურველად, უჭერენ მხარს სსრ კავშირის ხალხები, მოძმე სოციალისტური ქვეყნები, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა, მსოფლიოს მთელი პროგრესული და რევოლუციური ძალები, ნათქვამია დასასრულ წინასიტყვაობაში.

კრიზისის უღელქვეშ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიური განვითარების ტემპის დაყოვნებამ კვლავ გაზარდა უმუშევრობა. ოფიციალური მონაცემებითაც კი, მისმა დონემ ივლისში 7,8 პროცენტს გადააჭარბა, თანაც მარტო უკანასკნელი ორი თვის მანძილზე უმუშევართა არმიას ნახევარი მილიონი კაცი შეემატა. ამერიკელი ექსპერტების უმრავლესობის აზრით უმუშევრობა კვლავ ნომერ პირველი ეკონომიური პრობლემა გახდა შეერთებულ შტატებში და ეს იდგილი ჩამოართვა ინფლაციას, თუმცა არც ხიძვირის ზრდა კლებულობს.

ეკონომისტებს, რომლებიც ანალიზებენ უმუშევრობის ახალ ზრდას, განსაკუთრებით აშფოთებთ ის, რომ უმუშევრობა კიდევ უფრო მძიმე გავლენას ახდენს იმ კატეგორიების მოსახლეობაზე, რომლებსაც ეიმისოდაც არაპროპორციულად დიდი ტვირთი აწევთ ქვეყნის ახლანდელი ეკონომიური კრიზისის პირობებში.

სამუშაო ვერ უშოვიათ ქალრნის მუშათა 10.1 პროცენტს, მშენებლთა 17,7 პროცენტს, სოფლის მეურნეობის მუშათა 12,4 პროცენტს.

მაგრამ ეს ციფრებიც კი, რაკიდან დიდი უნდა იყოს, მოლიანად ვერ ასახავენ, თუ რამდენად სერიოზულია პრობლემა.

ჰიტლერის ნაბოლარები

ნიუ-იორკი. კედლებზე გაკრულია პლაკატები, რომლებზეც გამოსახულია სვასტიკა. ფაშისტური ბრიშურებით სავსე მაგიდებს შორის მიმოდიან მოიერიშეთა ფორმაში გამოწყობილი ახმაცები. 1933 წლის ბერლინია? არა, 1976 წლის ჩიკაგო!

ამერიკელი ნაცისტების შტაბბინა აღწერა და ფოტოსურათებზე აღბეჭდა ნიუ-იორკის გაზეთის „ვილეჯ ვოისის“ კორესპონდენტმა, რომელიც იყო მათ ბუნაში. მათთან საუბრიდან მან შეიტყო, რომ ჰიტლერის ნამოლარები პრაქტიკულად სრულიად თავისუფლად მოქმედებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმ დღის ისინი ემზადებოდნენ, რომ მოეწყოთ მორიგი გამოსდობა ზანგების წინააღმდეგ, რომლებმაც „გბედეს“ და თეთრკანიანთა უბნების „შეიჭრა“ სიახლოვეს დასახლდნენ. „ამერიკა თეთრკანიანი რასის უანასკნელი იმედია, ებრაელებისა და კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის ბურჯია“, — განაცხადა კორესპონდენტმა-ებისათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკის ნაცისტური პარტიის ერთ-ერთმა მეთაურმა მაიკლ უოლნმა.

ფაშისტების საქმიანობისადმი პრესის ყურადღება გაამახვილა რასობრივმა არეულობამ, რომელიც ამ ზაფხულს მოხდა ჩიკაგოში. ამ გაბოროტომების ორგანიზატორი ნაცისტური პარტია იყო.

„ვილეჯ ვოისი“ წერს, რომ ჩიკაგოში შემორჩენილი რასობრივი სეგრეგაცია ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის ნაცისტების თარეშს.

ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში

ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში რეგულარულად ეწყობა საბჭოთა გამოფენები, ხალაც გამოაქვთ სხვადასხვა ექსპონატები, კითხულობენ ლექციებს, უშვებენ საბჭოთა კინოფილმებს.

ამ ზაფხულს ადის-აბების პარლამენტის შენობაში მოეწყო ახალი ამბების საგენტოს ფოტოგამოფენა „სოფლის მეურნეობა საბჭოთა კავშირში“.

სურათზე: გამოფენის დამთვალიერებელი ეცნობა წიგნებს და ბროშურებს, რომლებიც საბჭოთა ხალხის ცხოვრებას გვიჩვენებს.

ა. სოლოვიოვის ფოტო (ახალი ამბების საგენტო).

იძიებენ დანაშაულებრივ საქმიანობას

ლისაბონი, საკუთარს კორესპონდენტი ე. კოვალიოვი იუწყება:

აქ გრძელდება შემარკვევენ ტეროროისტთა დანაშაულებრივი საქმიანობის გამოძიება. დღეისათვის დაპატიმრებულია 14 კაცი. პოლიცია ეძებს კიდევ რამდენიმე ტეროროისტს.

როგორც დადგინდა, ძირგამომთხარეი ტეროროისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთში მოქმედებდა, დიდ როლს ასრულებდნენ ეუკაენ ტორტენი, მდიდარი მეწარმე და ჩრდილოეთის პატარა ქალაქის მურსის ყოფილი მერი, აგრეთვე მისი ნათესავი, ამავამად დაპატიმრებული მიგორი მოტა ფერეიერა, რომელიც ქალაქ პორტუს საზოგადოებრივი უშიშროების პოლიციის სამმართველოს უფროსად მუშაობდა.

უკანასკნელ დღეებში საგამოძიებო ორგანოებმა ახალი დიდმხვნელოვანი საბუთები მიიღეს. მდინარე დოუროში, პორტუს მახლობლად, ნახეს დიდი ტყვიის ჩანთა, რომელშიც იყო ტეროროისტთა მამხილებელი დოკუმენტები, მეშარცხენე ორგანიზაციათა მისამართები და იმ ავტომობილების სანომრო ნიშნები, რომლებიც ეკუთვნით მეშარცხენეს ორიენტაციის სახელმწიფო და საბჭოური მოღალეწეებს, მათ შორის ყოფილ პრეზიდენტს კოშტა გომეშს და ყოფილ პრემიერ-მინისტრს ვასკონსალვეშს, აგრეთვე ბევრი ჩეკის წევრისა და სხვა ქალაქლდები.

გამოძიებით დადგინდა ტეროროისტთა ასაფეთქებელი მასალით მომარაგების წყაროები. ამ მასალას მიიღო მოტა ფერეიერამ გაანკარგულებით ღიებდნენ სამხედრო საწყობებიდან და ქალაქ პორტუში მცხოვრები ერთი ავერიო მოიჯარის დი ლიმას საწყობებიდან.

მიდებულია აგრეთვე მონაცემები, რომ ძირგამომთხრეკ საქმიანობაში მონაწილეობდა პორტუგალიის შეიარაღებული ძალების ყოფილი ოფიცერთა ჯგუფი. ესენი არიან დი სპინოლას მიერ შექმნილი ეგრეთ წოდებული პორტუგალიის განმათავისუფლებელი ფრონტის ლეგიონერები, რომლებიც ირმიიდან გამოიკვლენენ მას შემდეგ, რაც 1975 წლის 11 მარტს ჩაეშალათ მთავრობის საწინააღმდეგო გადატრიალების ცდა.

ქვეყნის დემოკრატიული ძალები მოითხოვენ პირუთვნელ და ობიექტურ გამოძიებას, ყველა დამნაშავეს დაჭერას და დასჯას.

23 აგვისტო რუმინეთის განთავისუფლების დღეა

□

დღეს ბუქარესტში

ქალაქ ბუქარესტს თითქმის ბუთი ხუთუნის ისტორია აქვს. მას მემკვიდრეობად ან მაუღია მსოფლიოს დიდი ქალაქებისათვის ლამაზთაათებელი ზეადი სდეადე: ცამდე გუმბათაზიდული ტაძრები, თავბრუდამხვევი სიმაღლის ცოხე-კოშკები. ეგი თანდათანობით, ნელ-ნელა იზრდებოდა და მშვენდებოდა.

ბუქარესტის სახელი ლეგენდარული მწყემსის ბუქურეს სახელიდან მომდინარეობს, რომელსაც თითქოს საუუველი ნაუკრია ამ ქალაქისათვის.

ფინსვლის გზით

ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში და შემდეგ ბუქარესტმა სასოლოდ მიიღო თავისი ინდივიდუალური სახე და ამგვარად სოციალისტური ბუქარესტი მნახველს იზიდავს დიდი, თანამედროვე რაიონებით, საზოგადოებრივი შენობების გრანდიოზული კომპლექსებით, ბულვარებით, პროსპექტებით, პარკებით, სასტუმროებით. ბუქარესტში ბინადარ მილიონ შვიდასი ათასი კაცი ცხოვრობს. ქალაქი დასერილია 6.000 ქუჩით. ციფრები მეგვრმეტყველებს დედაქალაქის წინსვლისა და აყვავების შესახებ. 1930 წლისათვის სამრეწველო წარმოება 1970 წლთან შედარებით სამჯერ გაიზრდება. სწრაფად მაღლდება განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის დონე.

„ძალაძეები“ ძალაძეში

მითოლოგიურ ტიტანს თუ ღმერთ ურანის შვილად თვლიან, ბუქარესტის სრულიად ახალ რაიონს — ტიტანს შეიძლება რკინა-ბეტონისა და მინის შვილი ეგულოდოთ.

„ქალაქი“ ქალაქში 855 ჰექტარზეა გაშლილი. მისი მოსახლეობა 250.000 კაცს შეადგენს. თავდაპირველად ტიტანში ერთ წელიწადში სამი ათას ბინას ამენებდნენ, შემდეგ საქმე უფრო დაჩქარდა. 1974 წლის დასაწყისში აქ უკვე ამენებული იყო 71.000 საცხოვრებლებინიანი 800 მრავალსართულიანი სახლი. მარტო 1975 წელს ტიტანში ამენდა 7.000-ბინიანი 57 ახალი სახლი. მშენებლობა ახლაც ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. წლეულს კიდევ 7000 ბინა ამენდება.

როგორც ბუქარესტის სხვა დანარჩენი „ქალაქ-რაიონები“, ასევე ტიტანიც ორგანულად არის შეწყმეული დედაქალაქის ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას. ამ ქალაქებში მნიშვნელოვანი ეკონომიური დაწესებულებების მოელი ქსელია, მათ შორის ზოგიერთი ახლახან ჩაფა მწყობრში. ტიტანის და სხვა „ქალაქების“ სავაჭრო ქსელები სრულიად უზრუნველყოფენ თავის მოსახლეობას ყოველგვარი საქონლით.

მრავალსართულიან სახლებს ამაყად აუწევიათ თავი მზის სხივებისაკენ. მათ მნახველს არ სჯერა, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ აქ სიცარიელის, ბუნქნარის, ოღროჩოღრო ადგილების, ჭაობების და მტვრის ხაუფლო იყო. ახლაც დეიდადამე მოძრაობენ ამწეები. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქის „ქალაქებში“ შენება გრძელდება.

საბრეწველო ბუქარესტი

სოციალისტური მშენებლობის პერიოდში ბუქარესტმა არნახულ ფონს მიაღწია. დღეისათვის დედაქალაქის ყოველი 1000 მცხოვრებიდან 430 კაცი საწარმოებში მრომობს; 100 კაცი — საკვლევლო და კვლევითი ინსტიტუტებში, 200 — სკოლებში, პრიფესიულ, ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს.

აღინიშნება მთელი სახალხო მეურნეობის ფინანსებში. 1976-80 წლებში სამრეწველო პროდუქცია 45 პროცენტით გაიზრდება. 1980 წლისთვის დედაქალაქი სამჯერ მეტ პროდუქციას აწარმოებს, ვიდრე 1970 წელს. გრძელდება წარმოების სტრუქტურის მოდერნიზაცია. ყოველივე ის, რაც გაკეთდა, კეთდება და გაკეთდება მომავალში, იმის მაჩვენებელია, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწევს სოციალური ეკონომიური პროგრესის გზაზე სოციალისტური რუმინეთი.

ჟურნალ „რუმინიას“ ფოტოსალების მიხედვით.

□

სურათზე: ბუქარესტი. რესპუბლიკის სახახლის მოედანი.

(სპიდსის ფოტოქრონიკა).

ფარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პლენუმი

წყალტუბოში, რომელიც რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნა, გაიმართა საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

პლენუმზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ.

საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია დ. ა. კიკნაძე, მეორე მდივნად — თ. ი. ეგუაკაძე, მდივნად — გ. ვ. ავალიანი.

პლენუმმა აირჩია საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის ბიურო, დაამტკიცა განყოფილებათა გამგეები და გაზეთ „ფრონის“ რედაქტორი.

პლენუმმა განიხილა წყალტუბოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესრულებაზე ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის ფართოდ გავრცელებულ ფაქტებზე, ეკონომიკურ-ფინანსურ ორგანიზაციებში ბუღალტერიის, ანგარიშგებისა და ანალიზის, ბანკებში ანგარიშსწორების, ფულადი ნაკადებისა და ანგარიშსწორებების ორგანიზაციის, ბიუჯეტის, ფასების, ხელფასების, ბანკებში ანგარიშსწორებ

აღვზარდოთ რწმენითა და სიმართლით!

ბანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ადამიანი ორჯერ ხშირად ჰკითხავს თავის თავს: გინა ვარ მე? რა მოვალეობა მაკისრია ამ ქვეყნიერებაზე? რა ადგილი ერისა და ქვეყნის წინაშე? რა რეალურებს ვახდენ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ამბებსა თუ მოვლენებზე? სწორად ავირჩიე ბოროფესია? ხომ არ ვცდები მეორე ადამიანის დადებითი ან უარყოფითი მეფასებლისა? როდის ვიყავი მკაცრი და როდის სუსტი? შემესატყვისებინა თუ არა ცხოვრების მუდმივი თანმავალი ან მეგობრები?

ბრალი ამგვარი ფსიქოლოგიური კითხვა შეიძლება აღიძრას თვითეული ჩვენგანის მიმართ და განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოვირჩეოდეთ. კრიზის მოთხოვნებზე გაცემული პასუხები და ქცევის სტანდარტები სუბიექტივიზმულის პიროვნულ და მოქალაქეობრივ თვისებებზე, მის ბრძოლაზე მიგვანიშნებს, რომელთა აღზრდასა და ჩამოყალიბებაში, როგორც სოციალურ ფსიქოლოგიისა ცნობილი, თავი და თავი ოჯახია. ნათქვამია, წარსული ჩვენი აწმყოაო. მოდი, ჩვენც გავიხედოთ უკან, რადგან ყველა ადამიანი საკუთარი ბავშვობიდან არის მოსული და თვითეულს აღზრდილის იერსახე აქვს მიღებული.

როდესაც ბავშვის აღზრდაზე ლაპარაკობენ, იგულისხმება, რომ ერთია ბავშვის ნიჭისა და უნარის განვითარება და, მეორე, როგორც სოციალური არსების, ბიოლოგიურად თვისებებით აღჭურვილი მოქალაქის ჩამოყალიბება. ჰუმანისტები გვაფრთხილებენ, რომ აღზრდის მიზანი არა მხოლოდ განათლების, არამედ მოვლენათა, ადამიანთა ურთიერთობის სწორად დანახვის, განსაზღვრისა და შესწავლის უნარის შეძენაა, რადგან, საჭიროდ, „სწორი აღზრდის გარეშე დაიჩენენ ადამიანთა ბიო- მკაცრად ავადმყოფნი". საკითხისადმი ასეთი მიდგომა ახალი არაა. ჯერ კიდევ ანტიკური დროის ფილოსოფოსს სოკრატეს აზრით, მსმენელს თავდაჯერებულ კეთილგონივრ ება უნდა ჩაენერგოს, რადგან უამოსილ ნიჭიერი კაცი შეიძლება ყველაზე უსამართლო და ბოროტმოქმედი იყოს. ისტორიკოსი ქსენოფონტე ციონს: „სოკრატე ბუდამ წარუდგებოდა მოწაფეებს შეკნიერებითა და სიკეთით შეკობილი და წარმმაცად ესაუბრებოდა ათნოებისა და სხვა ადამიანურ ღირსებათა გამო". სოკრატის ბრძენკაცობა კარგად ეცოდნენ, რომ აღზრდის ძალა აღზრდილის სიტყვისა და საქმის ერთიანობაა, სხვა სიტყვა და სხვა საქმე დადებით გავლენას ახდენდა ადამიანის ბედზე, ამიტომ ბერძენ ფილოსოფოსს „ადამიანი ეშინოდა". ასეთი მიდგომა ახალი არაა. ჯერ კიდევ ანტიკური დროის ფილოსოფოსს სოკრატეს აზრით, მსმენელს თავდაჯერებულ კეთილგონივრ ება უნდა ჩაენერგოს, რადგან უამოსილ ნიჭიერი კაცი შეიძლება ყველაზე უსამართლო და ბოროტმოქმედი იყოს. ისტორიკოსი ქსენოფონტე ციონს: „სოკრატე ბუდამ წარუდგებოდა მოწაფეებს შეკნიერებითა და სიკეთით შეკობილი და წარმმაცად ესაუბრებოდა ათნოებისა და სხვა ადამიანურ ღირსებათა გამო". სოკრატის ბრძენკაცობა კარგად ეცოდნენ, რომ აღზრდის ძალა აღზრდილის სიტყვისა და საქმის ერთიანობაა, სხვა სიტყვა და სხვა საქმე დადებით გავლენას ახდენდა ადამიანის ბედზე, ამიტომ „ეშინოდა". ასეთი მიდგომა ახალი არაა. ჯერ კიდევ ანტიკური დროის ფილოსოფოსს სოკრატეს აზრით, მსმენელს თავდაჯერებულ კეთილგონივრ ება უნდა ჩაენერგოს, რადგან უამოსილ ნიჭიერი კაცი შეიძლება ყველაზე უსამართლო და ბოროტმოქმედი იყოს. ისტორიკოსი ქსენოფონტე ციონს: „სოკრატე ბუდამ წარუდგებოდა მოწაფეებს შეკნიერებითა და სიკეთით შეკობილი და წარმმაცად ესაუბრებოდა ათნოებისა და სხვა ადამიანურ ღირსებათა გამო".

ფსიქოლოგ ა. კეკენაძის ექსპერიმენტებიდან ცნობილია, რომ ბავშვი ასაკის მატებასთან ერთად მშობლის ობიექტური კრიტერიუმებით აფასებს, კრიტიკულად უცქერის, როგორც სოციალურ ბიოგენებას, მის ადამიანურ თვისებებს, მოქალაქეობრივ მრწამსს და საქმიანობას. სანინუშვილ მოგიტან ერთ-ერთი მოსწავლის ჩანაწერს: — „ჩემი მშობლები პატიოსანი შრომით ცხოვრობენ, უყვართ სხვების დახმარება, ისინი მარტო ჩვენზე კი არა, სხვებზეც ზრუნავენ, ამიტომ გვწყნა მათი". რასაკვირველია, ასეთი მშობელი დადებითი ნიმუშია შვილისათვის; მშობლის მორთალი და პატიოსანი ქცევა ბავშვთა რწმენისა და ავტორიტეტის აღიარების საფუძველი ხდება. მრავალ ჩანაწერში ასეთივე ურევია: „ჩემს მშობლებს პატივს არ ვცემ და არ ვიფიცავ ამიტომ, რომ არ ესმით არაფერი, მე კი მარიგებენ, მიყვირიან ხოლმე ზმანილა და ყველაფერზე მეჩხუბებიან. ერთხელ მამაჩემს ავტოკალამი დაეკარგა, იცოდა, რომ მეც მოვმწყდა, ამიტომ მოპარავ დამბარალე!". ეჭვიფერით დავარწმუნე, რომ არ ამიღია, ბოლოს ტიხრის ქვეშ ამოვნეს და სირცხვილს გრძნობაც კი არ გამჩენიათ".

თქმულა, სამართლიანობა ყველაზე დიდი სიკეთეაო, მაგრამ საუბედუროდ ქვეყნად არსებობს ორაპატიოსანი აზრი, ტყუილი, ცილისწამება, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე დაუმახინჯებია. როგორადაც უნდა გავიანალიზოთ, ტყუილი ლაჩრებისა და გულბოროტი ადამიანების სნეულებაა. ბავშვი მას „მშობლ" მიმართავს, როცა მშობელი საშინლად მკაცრი, გინუსკელი და ძალმომრეა, ანდა „მშობ, როცა თვითონ არის მაგალითის მგმაცემი.

ბავშვი თავისი ბუნებით უშუალო და სამართლიანია, მისი ფიქრი სული დიდისაგან გაგებაა და პიროვნულ ადიარებას მოითხოვს, ვერ იტანს ტყუილ-უბრალოდ დასჯას და თუ ეს ხშირად ხდება, მშობლის ავტორიტეტი ირღვევა და მისადმი რწმენაც უფერულდება.

რა აღზრდაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა მშობელი კოტროლს ვერ უწევს საკუთარ ქცევას და, აქედან გამომდინარე, არც აღსაზრდელს მოსწონს. უფრო მეტიც: ბავშვალო მდგომარეობა მაშინ იქმნება, როცა მშობელი მომხვეჭელია, არაკეთილსინდისიერი გზით სამდიდრეს ეძიოვებს და მოსაზრდის სულს ამახინჯებს. ხშირად ასეთ ოჯახში აღზრდილისათვის ადამიანის სიდიადე, მის მაღალ-პიროვნულ თვისებებს ჩირის ფასი აქვს, არის ეგოისტი, თავანება და სხვისი ტკივილის აოდამნახავი. მოდი და ყოველივე ამის შემდეგ ფიფქნებას (თანაც დაუსახურებელს) სოციალურ უბედურებად ნუ ჩაიგლ! სწორედ ასეთებისაგან შეექმნენ ევრეთწოდებული „შეშჩანები", ადამიანები, რომლებიც მოკლებულნი არიან შინაგან ცხოვრებას, არ ესმით, რომ ადამიანს მხოლოდ მისი სულიერი კულტურა ქმნის. სამდიდრისადმი დაუოკებელი ტრფიალი ქართველი კაცის ბუნება არასოდეს ყოფილა და თუ შეგვხვდება ასეთი, უარყოფითი მაგალითის მიმცემ მშობლებს საზოგადოებრივი აზრი უნდა დაუპირისპირდეს. პიროვნების აღზრდაზე მარტო მშობლები, მასწავლებლები კი არ ადგენენ გავლენას, არამედ, სოციალური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „მნიშვნელოვანი სხვებიც".

